სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მსოფლიო ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში შუა საუკუნეების ისტორიის კათედრის ასოცირებული პროფესორის სამსახურში მისაღებად რექტორის 2021 წლის 11 ოქტომბრის N 198/01-01 და 2021 წლის 13 ოქტომბრის N 200/01-01 ბრძანებების საფუძველზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 8 ნოემბრის N 95/2021 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

№3 ოქმი (შემაჯამებელი)

ქ. თბილისი "2" დეკემბერი 2021 წ.

13.00 საათი, თსუ I კორპუსი, აუდიტორია №201/ა

სხდომას ესწრებოდა კომისიის 5 წევრიდან 4 წევრი:

1. მურმან პაპაშვილი - თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე)
2. თეა წითლანაძე - თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე)
3. ზაალ გოგენია - თსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი (კომისიის მდივანი)
4. ნინო გომართელი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

დღის წესრიგი:

1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მსოფლიო ისტორიის სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტის შუა საუკუნეების ისტორიის კათედრის ასოცირებული პროფესორის სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.
2. კონკურსის შედეგის ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის, პროფესორ მურმან პაპაშვილის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტების შეფასების ორივე ეტაპის შედეგების შეჯამებისა და

კენჭისყრის შედეგების შესახებ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და შეაჯამეს კონკურსის ორივე ეტაპი და ფარული კენჭისყრის შედეგები.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მსოფლიო ისტორიის სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტის შუა საუკუნეების ისტორიის კათედრის ასოცირებული პროფესორის 1 საკონკურსო თანამდებობაზე საბუთები შემოიტანა 1 კანდიდატმა - თეა ქარჩავამ

თეა ქარჩავამ შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება (იხ. ოქმი №1). გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან (იხ. ოქმი №2). გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა (4 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე) დაუჭირა მხარი თეა ქარჩავას კანდიდატურას.

დაადგინეს:

ს(ს)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მსოფლიო ისტორიის სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტის შუა საუკუნეების ისტორიის კათედრის ასოცირებული პროფესორის 1 ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა: **თეა ქარჩავა**

კომისიის თავმჯდომარე - პურმან პაპაშვილი

კომისიი თავმჯდომარის მოადგილე - თეა წითლანაძე

წევრები:

ნინო გომართელი

კომისიის მდივანი - ზაალ გოგენია

თარიღი: 2. 11. 2021.